

# საქართველო ფურცელი

სურათებიანი ჟამათი

ბაზათის № 60


დამატების № 11

კვირა, 10 აგვისტო 1914 წ.

137/3 N4223



333/200



მისი უმაღლესობა მემკვიდრე ცესარევიჩი  
ალექსი ნიკოლოზის ძე.

## მე არ მინდა...

ახ, ნეტავი სიკვდილის წუთს  
სამშობლოდან შორს გამტყორცნა,  
არ მეღირსოს უკანასკნელ  
სევდიანი მისი კოცნა.

მე არ მინდა, რომ სულთ-მობრძევეს  
ხელი მახლოს დაჯაჭვული,  
გავწიო და ვერ გავწყვიტო,  
ძირს დავეგდო მოქანცული!  
არა, არ მსურს ჩემი კუბო  
სამშობლოში დაიმარხოს,  
მე არ მინდა მისმა მტერმა  
ზედ მიაროს, ზედა მლახოს.

ს. წაღვერი.

ი. ევლოშვილი.

## მოჯალაბე

ისტორიული მოთხრობა.

(იხ. სურათებიანი დამატება № 10.)


IV

ოთოფერა მთის კალთაზე თვალწარმტაცი ტყე იყო გადაჭიმუ-  
ლი. იქ ნახავდით: ასწლოვან მუხის გვერდით, იმავე წლოვანების,  
ისარივით აპართულ, ლამაზ წიფელას, თვალაუწვედნელ რცხილას და  
აქა-იქ უზარმაზარსავე წაბლს. არსად ეკალი, არსად ჩირგვი და ჯა-  
გი; თითქო ამათ ვერ გაუბედიათ ამოცენება იქ, სადაც ეს გოლია-  
თები გაბატონებულაო, მათი ნიშან-წყალიც არსად სჩანდა. მეტად  
თვალწარმტაცი იყო ეს ტყე შორიდან, მეტადრე მაშინ, როცა მწვა-  
ნე სახურავით თავს დაიბურავდა და უფრო საამო, გულის მომლხენი  
ახლოდან, როცა ხელს წაუფათურებდით ამა თუ იმ დედამიწის ნა-  
შობ არსებას და ვერც გაარჩევდით: რომელი ერთი, რომელ მეორეს  
სჯობდა სიმაღლით, სისხვით, სილამაზით და სიამაყით... აქა-იქ, მთი-  
დან გადმონახეთქი ანკარა წყაროები ჩამოსჩანჩქაროდნენ ამ ტყეში,  
რაც მეტს შნოს და მეტს ღიდებას აძლევდა, ადამიანის თვალში ამ  
ადამის დროიდან ხელშეუხებელ მიდამოს.

თვეზე მეტი იქნებოდა, რაც ამ ტყის ხშირი სტუმარი გამხდა-  
რიყო დავითი. ის, თითქო ტყის მცველად დაუყენებიათო, თითქმის  
ყოველ დღე ნოდოდა აქ, ჩამოწვებოდა ერთ რომელიმე მოჩახახე







გელგის მფე ალბატი



დანიის მფე ხრისტიანი.

წყაროს პირად და თავდავიწყებული ეძლეოდა ოცნებას, ხან რომელიმე ერთ ხეს დააკერდებოდა, საიღუმლო აზრით გატაცებული, ხან მეორეს, მესამეს და როცა თვალი მოეღებოდა ერთი და იმავე საგნის ყურებით, ისევ ცელქსა და ხტუნია წყაროს გაუყრიდა თვალს, რაც რავდენიმე წამით იტაცებდა მის მხოლოდ მხედველობას, მაგრამ არა გულს და გრძობას. დავითის გულს არ სცალოდა ბუნების პოეზიის საყურებლად; მისი გულის ხედვა, უცაბედად აძრულ უხილავ ძალას დაემონავებია, რომელსაც დანებებოდა ის მთელის არსებით... ვადიოდა დღეები და დავითი ბინას არ იცვლიდა; მხოლოდ და მხოლოდ ეს ტყე იყო მისი თავშესაფარი, სადაც მშვიტ-მწყურვალ ითმენდა სულიერ ვნებათა ღელვას. ის მხოლოდ დამ-დამობით ბრუნდებოდა შინ ერთობ მოღლილ-მოქანცული და არც მაშინ ეტყობოდა ხალისი და სიხარული. საბრალო მაკო ატყობდა შვილს გამოცვლას, შესცქეროდა თვალეში და გული უკვდებოდა. ოდიშის მკვირცხლი ბუნების შვილი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დატყობოდა დალაღვა და მოწყენა, დღეს რაღაც ტანჯვა იმდენად ღალავდა სულიერად, რომ არა თუ ეზარებოდა განძრევა, თითქო ენაზე გირები დაუკიდებიათო, ეზარებოდა ლაპარაკი, რის გამო გაუბრუნდა მოსაუბრესაც და ეს გარემოება არა სახუმროდ აფიქრებდა ერთადერთი შვილის შემყურე დედას.

— შვილო! რამ დავაღონა, ჩემო თვალის სინათლეო? მიიხარო, შვილო, რა გაწუხებს! დედაშენს არ ეტყვი? რაცხა სხვანაირად გხედავ, შვილო: არ სკამ, არ სვამ, არაფერს ამბობ, თუ მეზობელი შემოვიდა სალაპარაკოდ, შენ გახედავ და სანამ ის არ წავა, შინ არ შემოდიხარ! ეს არ იცოდი შვილო: შენისთანა მოლაპარაკე და მოქეიფე ვინ იყო, შვილო, ამ კუთხეში? თვალი არ დაუყენო უბედურ დედაშენს! მითხარი, ჩემო შავარდენო, რა გაწუხებს?—ატრეხულის ხმით ჰკითხა ერთ საღამოს დავითს დედამ.

— არა, დედა; შენი შეშაწუხებელი მე არაფელი მაწუხებს. რაც ვიყავი, ისე ვარ, მაგრამ ყოველთვის ხო არ იქნება კაცი ლაპარაკის გუნებაზე?—ტკბილად მიუგო შვილმა, ფიქრობდა, ენუგეშებინა, მაგრამ რაც დამალა, ის მისმა სახემ გაამელავნა: გაწითლდა, შერცხვა და თავი ძირს დახარა.

— შენს დედას ნუ ატყუებ, შვილო; გებრალეზოდეს დედა! ისეთი რა იქნება, რომ შვილმა დედას დაუმალოს? თუ ცოლის შერთვა გინდა, შვილო, ვინ გეტყვის უარს! ვინ არის, შვილო, ამდონი ფიქრს და ამდონი გულის ძგერას რო ითხოვს შენგან? ღმერთმა ი დღე ნუ გაუთენოს უბედურ დედაშენს, რომ ვინმე ისეთს კიდებდე ხელს, რომელიც ჩვენი საქმე არ არის!.. გული რაღაც სხვანაირად მიყვფს; შენ ისე დამიდარდიანდი, რომ ეტყობა თვალი უდგება საცოდავ დედაშენს... იქნება, ვინმე აზნოურთავანი მეგეწონა! მაშინ, პირველად მე მომისპე სიცოცხლე, შვილო, მე... მაგ დღეს ნუ შემასწრებ!

— მართალი ხარ, დედა! — ვადაქრით უთხრა ბოლოს დავითმა.

— როგორ? მართლა მიდგება თვალეში?!—მწარედ იკითხა თავზარდაცემულმა დედამ და გაკმიდა ხმა.

— არა, დედა, შენ რომ ფიქრობ, ის მე არ მაწუხებს. რა ჩემი საქმეა აზნოური? მაგრამ შენ იმაში ხარ მართალი, რომ რაღაც თავი და ბოლო დამებნა და გზაზე ვერ გამოვდივარ.

— კაი, შვილო; ასე ჩემო სანატრელო შვილო! სხვა ვინ იქნება ისეთი, რომ შენი შეწუხებად ღირდეს? რა გაქვს, შვილო, ამდონი

საფიქრებელი? გამახარე, შვილო, გამახარე. თუ მეტყვი ვინაა, ხო კაი, თუ არა და შენი ნებაა; დალოცვილი ყმის შვილი ვინცა გინდა, იყოს, ცალი ხელიც რო აკლდეს, მაინც ისე შევიყვარებ, შენ მიყვარხარ,—დაყვავებით უთხრა, იმედმოცემულმა დედამ.

— გეტყვი, დედა, გეტყვი; როგორ არ გეტყვი! მაგრამ ახლა არა; ჯერ თითონაც არ ვიცი როგორ გამოვა საქმე! ერთხელ ვნახე და ის იყო...

ამ სიტყვებით, დავითი კემპარიტებას ამბობდა. მან მართლაც არ იცოდა აზრი იმისა, ვინც მისი კმუნვის და თავდავიწყების საგნად გამხდარიყო.

ქალიშვილი, რომელმაც დაიპყრო დავითის გულის საუმჯობესო ადგილი, სრულიად შემთხვევით გაიცნო მან თავადი კოწია გერიას სასახლეში, სადაც დავითი, როგორც ნაქები ცხენოსნობაში, მიიწვია თავადმა თავის ქალბატონის გასამხიარულებლად. დავითს ეს გაუხარდა, ეწვია კიდევ და მართლაც ისეთი ცხენოსნობა გამოიჩინა, რომ არა თუ ქალბატონი მოიყვანა ალტაცებაში, თვით კოწიას და დამსწრე თავადებსაც საკვირლად დაურჩათ დავითის მიერ წარმოდგენილი ცხენოსნობა. თავადის ფართე და განიერ ეზოში დავითი მიჰქრი-მოჰქროდა თავის დაგეშილი ცხენით: ხან თავით უნაგირზე შესდგებოდა, ფეხებს მალა აიშვერდა და გააქენებდა ცხენს; ხან ფეხით შესდგებოდა, მთელის სიმაღლით აიმართებოდა და მათრახს დაუშენდა გაჭიანებულ ცხენს; ხან ჩამოხტებოდა, დაჰკრავდა ცხენს მათრახს და გააქენებდა, მერე აედევნებოდა, დაეწეოდა, ჩაავლებდა კულზე ხელს, იქიდან გავაზე შეახტებოდა და იმავე წამს უნაგირზედაც წამოსკუბდებოდა; ხან ქართულ თეთრ ფულს ჩამწკრივებებდა სიგძით, ერთის თავით გამოაჭიანებდა ცხენს, დაეკიდებოდა ცალის გვერდით და ისე ახედა, რომ პატრონს ერთს ფულსაც არ დააკლებდა; ხან გაჭიანებულ ცხენს ფეხით აედევნებოდა, გაუხსნიდა მოსართავებს, ისევ მოუქერდა და ზედაც მოახტებოდა... ერთის სიტყვით, ქიათაც არ მიჩენილმა ყმამ გააცვიფრა დიდი თავადები ცხენოსნობით და ქალბატონის ხითხითს ხომ საზღვარი არ ქონდა და არა... კოწიამ დიდად დაუმაღლა დავითს, ქება შეასხა და უბძანა ბიჭებს, სადილი ექმიათ. სადილზე დავითს მსახურობდა ახალგაზდა, ცქრიალა და მეტად ღამაში ქალიშვილი. ძველსა და შოახლის უხეირო კონკ ტანისამოსში ქალიშვილი ისე მოსჩანდა, როგორც ალმასი ნაგავში. სილამაზესთან ერთად დავითს გულში აებეჭდა ქალიშვილის შეტად მოხდენილი და კობტა მიხვრა-მოხვრა, გასჯილობა და თამამი გამოხედვა, რამაც შეიპყრო და დაატყვევა ვაჟკაცი... ეს ქალიშვილი იყო თავადი კოწია გერიას გლეხის, სიკო უსქიას ასული—ტასია. ტასია ბავშობიდანვე მოსწონებოდა ქალბატონს და კისერზე წითელი ქინკი შემოეკრა<sup>1)</sup>. ამაზე სიკო გაძალადებოდა:—ჩემს გვარს მუახლობა არდებია, ჩამომავლობით მსახური<sup>2)</sup> ვარ და არ მოგცემ შვილს მოახლედო,—მაგრამ ბატონს ისე გადაებრიალებია თვალი სიკოსთვის, რომ მეორედ უარის თქმა ვერ გაებედა...

იმ დამეს მის თვალეშს ძილი არ მიჰკარებია. სულ იმაზე ფიქრობდა, რომ დედამ მართალი შენიშნა მისცა. მართალი მით, რომ რაღაც ოცნებებში გაბნეულიყო და გამოსავალ გზას არ ეძებდა... მაგრამ ეს გზაც რომ მძიმე საპოვნელი იყო... იმ დროის ჩვეულები-სამებრ, დავითსაც შუამავლის საშუალებით უნდა ემოქმედა და საქ-




ქალაქი ლიევი მდ. მასზე, რომელიც გერმანელებმა აიღეს.

1) ეს იმას ნიშნავდა, რომ ბატონი მოახლედ წაიყვანდა. მოახლობაც სამარცხვინო წოდება იყო, ვით მოჯალაბობა.

2) მსახური, წოდებით, მალა იდგა მოჯალაბებზე და ბევრი სხვა წოდების ყმაზედაც.





ბარძლა ჰაერში. ღირიებალისა და ჰაეროპლანის მანქანა-ბიპლანის შეტაკება. ღირიებალის კანი გამსქდარა და გაზი აფეთქებულა.

შეც ის იყო, რომ ამ საქმიანთვის კაცს ვერ იზოვნინდა. აბა, ვინ გაუბედავდა კოწიას მოახლე გოგოს გათხოვებაზე ლაპარაკს?! იცოდა აგრედვე დავითმა, რომ საიდუმლო შემწეობაზედაც ვერავის სთხოვდა, რადგანაც, ვერადწოდებულნი: „ასყურიან“ და „ასთვალნიან“ კოწიას ვერავინ ვერაფერს ვერ გამოაპარებდა და, რა თქმა უნდა, ვერც გაბედავდა ისეთი ბატონის წყენას, რომელსაც შეტახებულად: „კაცკამიას“ უწოდებდნენ, რადგანაც მისმა გულმა არავითარი შებრალება არ იცოდა... მეტი გზა არ იყო, დავითს პირდაპირ უნდა ემოქმედა და კიდევ ასე დაასკვნა.

მეორე დილას დავითი მოერთო, შეჯდა ცხენზე და გასწია კოწიას სასახლისაკენ. გზაზე ის ფიქრითა მისი საყვარლის გარშემო ტრიალობდა, თვალწინ სულ ის ედგა, მას ეალერსებოდა, მის წინ ცელქობდა და ერთად-ერთი ის იყო მისი ხსოვნის და ფიქრის საგანი... ამ აზრებით, ის სასახლესაც დაუახლოვდა, ერთი მწარედ ამოიხვნეშა და უცნაური ნალველი დააწვა გულზე. იქნება წარმოუდგა, რომ მგზავრობა ფუქად ჩაუვლიდა, საყვარელს თვალითაც არავინ აჩვენებდა და მით, ისედაც დაკოდილი გული, დაეწვოდა... მაგრამ უცებ სახე გაუბრწყინებდა, რაღაც ძალამ სძლია და უცბად ჩამოხტა ცხენიდან. მან დაინახა, რომ მისი სასურველი არსება ჩირვებში ჩამალულიყო, სასახლიდან კარგა მოშორებული წყაროს გვერდით და რაღაცებს რეცხდა. დავითი შევლივით გახტა მისკენ.

— გამარჯობა შენი, ჩემო სულის სწორო! — დიმილით მიესალმა დავითი ტასიას და სიყვარულით საგვს თვალები მიაპყრო მას.

ქალი შეკრთა, გულმა ფანქალი დაუწყო, ფერი წაუვიდა და მორცხვად ჩახარა თავი.

— გეწყინა ჩემი მოსვლა? რამ შეგაკრთო, ჩემო ძვირფასო? განა მაგრე გეჯავრები? — სიყვარულით და თან აღმატებული ალერსით შეეკითხა დავითი.

— სულაც არ მეჯავრები! — ძლივს გასაგონად წამოიბუტბუტა ისევ-ისევ თავჩაკიდებულმა ქალმა.

— მაშ, გიყვარვარ?

ქალმა გაკმიდა ხმა, რაც დავითმა თანხმობის ნიშნად ჩამოარგო და თავდავიწყებამდის მისულს, ის იყო, გაუელვა ფიქრმა: გულში ჩაეკრა საყვარელი, მაგრამ იგრძნო ქალის თვალში ამოცნებული ძალა, შეკრთა და შეჩერდა.

— სსსუ! რას აპირობ? — მოესმა დავითს ქალისგან, როცა ქალმა რაღაც ერთნაირი მოძრაობა შეატყო დავითს.

— რას უნდა ვაპირობდე? შენც ხომ გიყვარვარ?

— კარგია, დავითი, გეყოფა ხუმრობა; ვინმე რო შეგვესწოროს ჩემ ცოდვაში ნუ დგები!..

— როგორ განა ხუმრობაში მართმევ?.. მაღალ ღმერთ ვიმოწმებ, ტასია, რომ რაც შენ გნახე, მას შემდეგ ჩემს ჭკუაზე არ ვიყო!

სახლი შემძულდა და კარი, კაცთან ლაპარაკი მეჯავრება; ტყეში, მხოლოდ დაბურულ და უსინათლო ტყეში მაქვს ბინა... მეყოფა, ტასია, მეყოფა; ნუ გამაფუჭებ, იწამე ღმერთი! — სასოწარკვეთილებით უთხრა დავითმა და ნალვლიანი თვალები მიაშტერა ქალს.

ტასიას, პასუხის ნაცვლად, ცრემლებით აევსო თვალები და სიტყვის თქმა ვერ მოახერხა, მაგრამ განაგრძო დავითმა:

— მიტირე, ჩემო ძვირფასო, მიტირე; დედა ჩემსაც ნუ უტირივარ, თუ შენს მეტი დამტირებელი ჩემს გვერდით გავატარო!

— რად მკლავ, დავით? — ცოტა შორსხვად დაიწყო ტასიამ ხმის კანკალით; მაგრამ უცებ სიმხნე მოიპოვა და თამამად განაგრძო:

— მეყოფა, რაც შენგნით დემემართა, მეყოფა რაც მჭირს და მთლად ნუ წამართმევ გაძაღლებულ სიცოცხლეს! შენ მეუბნები, სიცოცხლე მიმწარდებამ და ახლა ჩემი უნდა იკითხოს, ჩემი! გამშორდეს ანგელოზები, თუ უმანკო ძილი არ მომსპობოდეს მას შემდეგ, რაც შავ დღეს მე შენ გავიციანი. დემეკარგა ქალიშვილური მზიარულება, დემეკარგა უზრუნველი სიამოვნება, დემეკარგე ყველაფერი... შევდივარ სამოახლოში, მაიწყებდა, რა უნდა მექნა იქ; გაგზავნიან სადმე; არ მაგონდება რა დამაბარეს... არ მახსოვს რომ ვისმეს ხელი მომეკარგებოდეს და ერთ დღეს სამჯერ გამწეკვლა ქალბატონმა, რომ ვერაფერი შემასმინა. — ეს ფარსავი არ არის, ეს ფარსავს არ ნიშნავს; ვინმემ ხო არ გათელა ე ბედდამწვარა გოგოო! — ჩამჩხავის და ჩამჩხავის ქალბატონი, მაგრამ არ იქნა და არა: მაინც მეწყვის ბედი, მაინც არა ვარ ჩემს ჭკუაზე!.. ახლაც მინდა დაგივიწყო... დაგივიწყო მინდა... დავით მოშორდი... მომშორდი, თუ ძმა ხარ!.. ძლივს წარმოსთქვა ტასიამ და ერთბაშად ჩამოღვარა თვალთავან მოგუბებული ცრემლები.

დავითსაც ცრემლები მოადგა, მაგრამ თავი შეიმაგრა და როცა ტასიამ ცრემლები მოიხოცა, ნალვლიანი კილოთ მიუბრუნდა:

— რათა, რისთვის გინდა, ტასია, დამივიწყო?

— მისთვის, რომ საშენოდ არ ვარგოვარ.

— ამით გულს მიკლავ, ტასია დასცინი ჩემს უმანკო სიყვარულს!

— არა, დავით, დაცინვა არ ვიცი.

— აბა რატომ არ უნდა ვარგოდე ჩემთვის?

— იმისათვის, რომ მე ვარ ერთი უბრალო მოახლე გოგო და შენ გამოჩენილი ვაჟკაცი... ბევრჯერ გამიგონია, რომ შენს ვაჟკაცობას თავადებიც ნატრობდნენ და შენთვის სიორცხვილია მოახლე გოგო გყავდეს; შენ კაი ქალს შეირთავ... შესწყვიტა სიტყვა და ისევ ატირდა ტასია.

— ჰო! მეტი მიხეზი თუ არაფერია, ნუ ტირი. სწორედ იმისთვის მინდინარ, რომ მოახლე ხარ და კაი მოახლეც. დღეიდან მაინც იცოდე ჩემი აზრი, რომ კაი მოახლეს არ გავცვლი გლახა აზნაურზე



— თავადზე... ერთ დღეს მეც მოჯალაბე ვიყავი, მაგრამ... მო-  
ახლე რომ ხარ, მით უფრო მიყვარხარ, მით უფრო მინდებარ.

— მართლს ამბობ მაგას დავით? — ეჭვიანად ჰკითხა ქალმა და  
ნამტირალევი თვალეზი მიაჩერა.

— ეჭვიც არ იქონიო მაგაში.

— არა... შემომფიცე.

— ჩემს სიტყვას ფიცი არ უნდა, მაგრამ რახან ასე გინდა...

— არა-არა; ფიცი იყოს; მომეცი ვაჟკაცის სიტყვა, რომ არ  
მილაღატებ.

— ჰმ, ვაჟკაცი! სად მე და სად ვაჟკაცი! მაგრამ თუ ასე  
გსურს, ღვთის წინაშე გეუბნები: გახმეს ჩემს ტანში ვაჟკაცის სისხლი,  
თუ ოდესმე გილაღატო.

დღივს მოასწრო დავითმა ფიცი, რომ აგზნებული ქალი ლავა-  
შივით გაეკრა საყვარლის გულ-მკერდს და რავდენიმე კოცნით აგრ-  
ძნობინა, რომ ისიც, თავის მხრით, ფიცს სდებდა ცოლ-ქმურ ერთ-  
გულეზაზე.

ახლა? შეეკითხა შემდეგ თვალმომცინარე ტასიამ გულატოკებულ  
საყვარელს.

— ახლა ის, რომ დღეიდანვე შენ ჩემს გვერდით უნდა იყო...  
ხო იცი, რა დღე შეგველის თუ გაგვიგეს?.. დღესვე, ამალამვე უნდა  
წამომყევი, უნდა გაგაპარო... როცა სასახლეში დაწვებიან, აქ ჩამეირ-  
ბინე და მეც აქ დაგიხვდები.

— კარგი. — მოკლედ, მაგრამ მტკიცედ უთხრა ტასიამ და გუ-  
მომეშვილობა.

მეორე დღეს, თავადი გერიას სასახლეში ერთა ამბავი იდგა.  
გამხეცებული კოწია პირიდან ცეცხლს ჰყრიდა... ქალბატონი თამარი  
ანჩხლობდა, კაპასობდა და პირი დორბლით ავსებოდა, ყმები საში-  
ნელ წამს მოელოდნენ.

— ვინ გამიბედა, ბიჭო, — ვინ? — კარგა ხნის მრისხანების შემ-  
დეგ დაუყვირა კოწიამ მოურავს.

— შენი წყრომა მქონდეს, თუ რამე ვიციოდე! ეჭვითაც არა-  
ფერი ვიცი, ბატონო, — ხმის კანკალით მოახსენა, შიშით აძაგაძაგე-  
ბულმა მოურავმა და გაშეშდა უბედური წუთის მომლოდინე.

— მეც ვიცი, რომ შენ არაფერი იცი, არაფერი გიგეგება, ბრი-  
ყვი ხარ და რეგვენი... ეხლავე თუ არ გაგიგია, ჩემი ხელით დაგთხრი  
თვალეზს, იმ თვალეზს, რომელიც არაფერს ხედავს; დაგჭრი ყურებს,  
იმ ყურებს, რომელსაც სასახლის ღალატი არ ესმის; დაგაკრავ სკამ-  
ზე და შეგაფიცებ ცეცხლზე... სიკოც ეხლავე მომითრე აქა.

მოურავი დატრიალდა. რალაც პატარა სუნი თვით სასახლეშიც  
აიღო გოგო-ბიჭებთან, გასდია შორს და მართლაც დაჩქარებით გა-  
მოარკვია საქმის სინამდვილე, რაც დაწვრილებით მოახსენა თავადს  
და წარუდგინა სიკოც.

— შენ რა გატირებს, შე პირუტყვო, პილწო, ზღარბო, ქაცვი-  
ნო ზღარბო? ვის მიე ი შენი ლეკვი? ვის მიე მეთქი? — დაუყვირა კო-  
წიამ სიკოს და ისეთი სტიკიცა რომ ჯრიკვივით წაიქრა საბრალო  
ადამიანი. — გაათრეთ ე ჯაგრიანი ღორი და იქ მიაბით, მოშორე-  
ბით, ხეზე; ჩრდილი არსით მიადგეს ლუკმა არაფერი აქამოთ, იბა-  
ლახოს მანდ, — დაიღრიალა თუ არა კოწიამ, ჰკრა ფეხი და სახლის  
აივნებიდან, ტომარასავით ჩამოაგორა გონება მიხილილი სიკო.

არ ეყო ეს თავადს: მან მოიმარჯვა ხელში ტარიელისებური  
მათრახი და ჩაერია ყმებში, რომელთაც წინდაწინ მოუყარა თავი.  
პირველად მოურავს აგემა სიმწვავე მათრახისა და შემდეგ ყველას.  
ყმების შიშველ ტანზე თავადის ღონიერი მათრახი წითლად იხატე-  
ბოდა; ისინი ხტუნავდნენ, როკავდნენ, იგრიხებოდნენ, თვალთვან  
ნაპერწყლები სცივოდნენ, მაგრამ ხმის ამოღებას კი ვერ ბედავდნენ...  
მრისხანე თავადს ყოველგვარი ადამიანური ღირსება წაერთმია თა-  
ვის ყმებისთვის, წაერთმია თვით ის შეღავათებიც, რომლითაც სა-  
ზოგადოდ სარგებლობდნენ სხვა მებატონეთა ყმები... კოწიას ყმები,  
ერთად თავმოყრილი, რომელშიაც ღრმად მიხრწნილიც ერია, წარ-  
მოადგენდა რალაც უცნაურ პირუტყვთა ჯოგს, სწორედ უცნაურს,  
რადგანაც მათი მზგავსი პირუტყვთა შორის არ მოიპოებოდა... პი-  
რუტყვსაც ხომ აქვს თავისებური შეგნება, ნიჭი თავის დაცვისა, ალ-  
ლო მიხვედრილობა, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული სამოსი  
ამათ კი არა ემჩნეოდათ რა — სისულელის მეტყველი თვალეზი ზარ-  
მაცად დაეჭყიტათ კოწიას ყმებს, უნიჭობის მაჩვენებელ სახეზე ში-  
შის ბინდი გადაკეროდათ, თმა და წვერ-ულვაში, რომელთაც, აღმო-  
ცენების დღიდან სავარცხალი არ მიკარებოდა, საძაგლად აბუძგნო-  
დათ და წალმა-უკულმა ესხათ, მთელს სხეულზე ქუქყი და მტვერი,  
ოფლი და მზის გავლენით, მოუშორებელ ჟანგად გაკროდათ; ზოგს,

მხოლოდ და მხოლოდ დაგლეჯილ-დაფლეთილი ხამის ) პერანგი  
რავდა ჯაგარ შემოხდილ ტანის ზედა ნაწილს. ზოგს პერანგზე  
ყიანი ქინკის სარტყელი ერტყა და ზოგს ისიც არა; ზოგს, რავდე-  
ნიმე ადგილზე დაკერებული, დაწეწილი ნაბდის ქუდი ეკრა თავზე  
და ზოგი იმისიც მონატრულიც გამხდარიყო; ბანჯგვლიანი ხელები  
და ფეხები დათვის თათს მიუგავდათ... ერთის სიტყვით, წარმოუდ-  
გენელი იყო ასეთი ადამიანების მოთმენა სასახლეში, მით უმეტეს,  
მათი ნამზად-ნაკაზმის მირთმევა ბწყინვალე თავადისგან! მაგრამ ასე  
ნებაგდა თავადს და მისი ღრმა რწმენით საჭიროც ასე იყო!

როცა კოწია ამ საოცრად დაბეჩავებულ და საცოდავ ხალხს  
სასტიკად ამათრახებდა, ქალბატონიც უქმად არ იყო: მასაც მოემარ-  
ჯვა ხელში ღვედვით მოქნილი წკებლა, რომელსაც საგანგებოდ ინა-  
ხავდა სხვა და სხვა შემთხვევისთვის, ჩარეოდა მოახლე ქალებში და  
მითი უტყალაშუნებდა რაც ძალა და ღონე ჰქონდა... ბატონები მხო-  
ლოდ მაშინ მოშორდნენ საქმეს, როცა სულის ქლოშინი აუტყდათ,  
ჩქარი მუშაობისგან და მკლავის დაღალდაც იგრძნეს.

— ახლა რას აპირებ, ვაჟბატონო? რას აპირებ მეთქი? — გამ-  
მაგებით კითხა კოწიას ქალბატონმა და მაჩვენებელი თითით მოიწუ-  
რა შუბლიდან ოფლი. — თავი არ მინდა ცოცხალი — თავი, თუ ეხლა-  
ვე აქ არ მომგვარე ი ყვავის ბლარტი და სასტიკად არ დასაჯე მო-  
ლაღატე!.. ამას ვინ ითმენს, შენი ჰირიმე?! რომელი თავადის სისხლმა  
უნდა აიტანოს ასეთი შეურაცხყოფა?! მოახლე თავზე გადამათრის!..

— როგორ თუ რას ვაპირებ! — იმგვარივე გაშმაგებით დაიღ-  
რიალა კოწიამაც. — საცოდავი მურზაყანივით მოუთმენდი გეგონა! ი  
მუტრუკ გიდელიას თავდაღმა ავკიდებ მის მიჯნურს და ეხლავე აქ  
მოვათრევიებ! თავისი ზურგით მოვათრევიებ და მერე კილო მე ვი-  
ცი! ისეთ სამაგალითო სასჯელს მევიგონებ და ისე დავეჯი მუხანა-  
თებს, რომ ვინც გაიგოს შიშით გააცივოს.

— ეგრე, სწორედ ეგრე. დარწმუნებული ვარ, ვაჟბატონო, რომ  
ამ საქმეს ჩვენს საკადრის ბოლოს მისცემ, თუ გინდა, რომ ჰკუიდან  
არ შევიშალო. ვინ გაგვიბედა?.. მაგრამ ეს სულ ი მურზაყანის ბრა-  
ლია, ი სამოწყალოსი! აუშვა, ბატონო, გაამუტრუკა მოჯალაბე! მაგ-  
რამ გაუწყრა ღმერთი, მასაც კაი-კაი წიხლები მიათვია!.. არც კი  
რცხვენინან! არ რცხვენინან მაგ სამოწყალოს, რომ მოჯალაბემ აჯობა  
და კიდევ ეძახის: „დავითი-დავითო!“ — დავითი რა ყმის სახელია,  
ისიც მოჯალაბესი? მამა მის რქმევეია, თურმე, დავითი და ეხლა მის  
მოჯალაბესს ადიდებს ამ სახელით! არც ხარი გადუხდენენებია, არც  
ძროხა, არც დოუსჯია და არც სახელი შეუცვლია! რად უნდოდა  
თავადობა! რად უნდოდა ბატონობა, რომ მოხმარება არ სცოდნია  
მაგ სამოწყალოს — მაგას?! ამას რო მოითმენს ის თავადი, რალას  
არ მოითმენს?! ახლა შეხედე! თავის ბატონისთანა ვგონებივართ  
ჩვენც ი მუტრუკს და რა გოუბედნია? რა გოუბედნია? ის უნდა და-  
იქირო და წუწუქ ძაღლის ფასად გაყიდო!.. უნდა გაყიდო მეთქი! —  
იწივლა დედაკაცმა და წითელი ქარით წამოაწვა სახეზე სისხლი.

— მე მაცალე, ქალბატონო — მე!.. მურზაყანი რომ გლახაკია, ეს  
ახალი ამბავი არაა! მაგრამ ახლა უჩვენებ, ახლა ვასწავლი როგორ  
უნდა ბატონობა, როგორი უნდა იყვეს თავადი და როგორი ყმა, ისეთ  
სირცხვილს ვაქმევ-ისეთს, რომ თავადობაში თავი ვეღარ გამოიღოს;  
სირცხვილით იწოდეს! — დაიქუხა კოწიამ და სამგზავროდ შეუდგა  
მზადებას.

ცოტა კიდევ და რამდენიმე შეიარაღებული აზნაურები მზად  
იყვნენ, რომ ხლებოდნენ თავადს; მზად იყო თვით კოწიაც... მძიმედ  
შეიარაღებული კოწია მოახტა ბედურს და გაქუსლა, მას გაჰყვნენ  
აზნაურებიც. მხედრები გაჰქნენ.

— აქ მომითრე ის მყრალი! — ცოტა ფიქრის შემდეგ უბძანა  
მოურავს ქალბატონმა და მიუთითა დასაბღებულ სიკოზე.

ახსნილი სიკო მუხლებზე დავარდა ქალბატონის წინაშე, ხელე-  
ბი ზევით ალაპყრო და მოინდომა რალაც სავედრებელის გამოთქმა,  
მაგრამ უცბად დასწყვილა ქალბატონმი:

— შენ რას უდგებარ აქ? შე ბილწო პირუტყვო! რას გიქყეცია  
ე ბრიყვი თვალეზი? გასწი, გამოუდექი მაგათ; სულ ირბინე — სულ,  
მუცელი გეიხეთქე, ფეხები მოიტეხე და ეხლავე მომითრე ი შენი  
ლეკვი, თორემ იტირე შენი დღენი! — უბძანა ქალბატონმა და ლაზა-  
თიანად გადაუჭირა ზურგზე წკებლა, რომელსაც ისევ-ისე ატრია-  
ლებდა ხელში.

სიკო შეტრიალდა და უაზროდ გაძუნძულდა იქით, რითაც მიე-  
ქანებოდა გარისხებული მისი ბატონი.

(შემდეგი იქნება).

კირილე წუთისოფლელი.

1) ადგილობრივი ნაქსოვი ბამბისგან.